

**2024 წლის ფინანსური ანგარიშგება
შპს „ველიტექ ჯორჯია“**

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საერთო კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	5
ახსნა განმარტებითი შენიშვნები -----	6-15

შპს „ველიტექ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	მენიშვნა	31.12.2023	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	97,464	92,148
არამატერიალური აქტივები	4	84	1,016
სულ გრძელვადიანი აქტივები		97,548	93,164
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	2	343,168	639,036
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3	48,099	92,727
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	44,439	3,236
სილ მიმდინარე აქტივები		435,706	734,999
სულ აქტივები		533,254	828,163
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		318,488	554,473
სულ საკუთარი კაპიტალი		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოვლევადიანი ვალდებულებები	5	214,766	273,690
სულ მიმდინარე ვალდებულებები		214,766	273,690
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		533,254	828,163

დირექტორი : 

მთავარი ბუღალტერი : 

ბაგრატი დეისაძე

სოფიო მამულაიძე

შპს „ველიტექ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	97,464	92,148
არამატერიალური აქტივები	4	84	1,016
სულ გრძელვადიანი აქტივები		97,548	93,164
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	2	343,168	639,036
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3	48,099	92,727
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	44,439	3,236
სილ მიმდინარე აქტივები		435,706	734,999
სულ აქტივები		533,254	828,163
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		318,488	554,473
სულ საკუთარი კაპიტალი		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	214,766	273,690
სულ მიმდინარე ვალდებულებები		214,766	273,690
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		533,254	828,163

დირექტორი :

ბაგრატი დეისაძე

მთავარი ბუღალტერი :

სოფიო მამულაიძე

შპს „ველიტექ ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

**მოგება-ზარალის და სხვა სრული
შემოსავლის ანგარიშგება**

	მენიშვნა	<u>2023</u>	<u>2024</u>
შემოსავალი		2,741,582	4,182,314
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(1,844)	(22,737)
ხელფასები და თანამშრომლის სხვა სარგებელი	6	(2,190,840)	(3,547,322)
სხვა საოპერაციო ხარჯი	6	<u>(221,879)</u>	<u>(364,950)</u>
საოპერაციო მოგება		327,018	247,305
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		<u>(8,530)</u>	<u>(11,320)</u>
მოგება დაბეგვრამდე		318,488	235,985
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		<u>318,488</u>	<u>235,985</u>

დირექტორი: 

ბაგრატ დეისაძე

მთავარი ბუღალტერი: 

სოფიო მამულაიძე

შპს „ველიტექ ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	<u>2023</u>	<u>2024</u>
შემოსავალი		2,741,582	4,182,314
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(1,844)	(22,737)
ხელფასები და თანამშრომლის სხვა სარგებელი	6	(2,190,840)	(3,547,322)
სხვა საოპერაციო ხარჯი	6	<u>(221,879)</u>	<u>(364,950)</u>
საოპერაციო მოგება		327,018	247,305
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		<u>(8,530)</u>	<u>(11,320)</u>
მოგება დაბეგვრამდე		318,488	235,985
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		<u>318,488</u>	<u>235,985</u>

დირექტორი:

ბაგრატ დეისაძე

მთავარი ბუღალტერი:

სოფიო მამულაიძე

შპს „ველიტექ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
<u>2024 წლის 1 იანვარი</u>	0	318,488	318,488
წმინდა მოგება	-	235,985	235,985
<u>სხვა სრული შემოსავალი</u>	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
<u>2024 წლის 31 დეკემბერი</u>	0	554,473	554,473

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ველიტექ ჯორჯია“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2023 წლის 27 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით **405631543**. კომპანიის ოურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 72ა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: პროგრამული უზრუნველყოფა.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% იანი მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **Velі TECHNOLOGIES LTD, HE443907** /კვიპროსი/, ჯონ კენედი, 8 IRIS შენობა, სართული 7, ოთახი/ოფისი 74, 3106, ლიმასოლი, კვიპროსის რესპუბლიკა.

კომპანიის დირექტორია ბაგრატ დეისაძე.

2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 34 (ოცდათოთხმეტი) ადამიანი.

1. ფინანსური ანგარიშის მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

სტანდარტის პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა დაფუძნებისთანავე. კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2021 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებს;

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,8068	2,9306

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაივლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
არამატერიალური აქტივი	5 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხო პროგრამები (5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებული ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსოსხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, დაასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაშია აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება ადარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები:

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსური ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურიდიების

მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სასამართლო დავა.

შენიშვნები:

შენიშვნა 1 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები (ლარში)

	<u>2024 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>2023 წლის 31 დეკემბერი</u>
ფული სალაროში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,236	44,439
<u>სულ ჯამი</u>	<u>3,236</u>	<u>44,439</u>

შენიშვნა 2 სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (ლარში)

	<u>2024 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>2023 წლის 31 დეკემბერი</u>
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	639,036	343,168
სხვა		0
მოკლევადიანი მოთხოვნები	0	0
<u>სულ ჯამი</u>	<u>639,036</u>	<u>343,168</u>

შენიშვნა 3 სხვა აქტივები

	<u>2024 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>2023 წლის 31 დეკემბერი</u>
სხვა აქტივი	0	0
წინასწარ გადახდილი გადასახადები	92,727	48,099
<u>სულ ჯამი</u>	<u>92,727</u>	<u>48,099</u>

შენიშვნა 4 ძირითადი საშუალებები

2024 წლის საწყისი მდგომარეობით	ძირითადი საშუალებები
შესყიდვა	97,464
შესყიდვა	17,421
ცვეთა და ამორტიზაცია	(22,737)
<u>სულ ჯამი</u>	<u>92,148</u>

შენიშვნა 4 არამატერიალური აქტივები

2024 წლის საწყისი მდგომარეობით	არამატერიალური აქტივები 84
შესყიდვა	932
ცვეთა და ამორტიზაცია	0
<u>სულ ჯამი</u>	<u>1016</u>

შენიშვნა 5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	273,690	214,766
<u>სულ ჯამი</u>	<u>273,690</u>	<u>214,766</u>

6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასები და თანამშრომლის სხვა სარგებელი	(3,547,322)	(2190,840)
იჯარა	(158,468)	(123,027)
მივლინება	(80,840)	(31,910)
ბანკის საკომისიო	(47662)	(25,646)
კომუნალური ხარჯები	(5,085)	(14,188)
საკონსულტაციო ხარჯები	(55,326)	(9,518)
მარკეტინგი	(6,894)	(8,863)
ცვეთა და ამორტიზაცია	(22,737)	(1,844)
სხვა ხარჯები	(1 0 , 6 7 3)	(8,727)
	<u>(3,935,009)</u>	<u>(2,414,563)</u>

პირობითი ვალდებულება:

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

2024 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება:

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: ბაგრათი დელსაძე

